

**ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოს
მაღალმთიანი რაიონების პაციენტთა სამედიცინო
მომსახურებაში**

რამაზ მარდიშვილი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

საბა ბურჯალიანი
ბიზნესის ადმინისტრირების აკადემიური დოქტორი

ნინო ბურჯალიანი
კლინიკა „ვივამედი“-ს ექიმი კარდიოლოგი

<https://doi.org/10.52340/gbsab.2025.54.03>

საკვანძოსიტყვები: ციფრული ტექნოლოგია; ტელემედიცინა; ნანოტექნოლოგიები; რობოტოტექნიკა.

შესავალი.

ჩვენ ვცხოვრობთ XXI საუკუნეში, რომელსაც ახასიათებს არამხოლოდ პროგრესის მრავალფეროვნება, არამედ, ასევე, სწრაფი ტემპით მიმდინარე მოულოდნელი ცვლილებები. ეს ცვლილებები იმდენად მოულოდნელი და თან სწრაფია, რომ ადამიანთა დიდი ნაწილი ვერ ასწრებს რა მის შეგნებულ გაცნობიერებას, მექანიკურად ერთვება ამ პროცესში, რადგან იცის, რომ გაჩერება, უმოძრაობა გაყინვას ნიშნავს, გაყინვა კი სიკვდილის ტოლფასია.

ციფრული გარდაქმნა, რომელსაც ამ სტატიას ვუძღვნით, ეფუძნება ციფრულ ტექნოლოგიებს. მასში მოჩანს ახალი ხედვები, მიდგომები, პარადიგმები, რომლებიც ძველთან მიმართებაში სრულიად განსხვავებულია. ეს არის „ინფორმაციის ელექტორული კოდი-რებისა და გადაცემის მეთოდებზე (ხერხებზე) დამყარებული წყვეტილი სისტემა, რომლის მეშვეობით უმოკლეს დროში მრავალი ამოცანა სრულდება“ [ჯოლია, 2021, გვ. 35].

ციფრული ტექნოლოგიების შემადგენლობაში სახელდება:

- „დიდი მონაცემების ანალიტიკა“;
- დეცენტრალიზებული ტექნოლოგია ბლოკჩეინი;
- კვანტური ტექნოლოგიები;
- კომპიუტერული ინჟინერინგი;
- ნივთების ინტერნეტი;
- ნანოტექნოლოგიები და ხელოვნური ინტელექტი;
- რობოტოტექნიკა;
- უსადენო კავშირგაბმულობის ტექნოლოგიები;
- სამგანზომილებიანი ბეჭდვა (3D - პრინტერი).

ციფრული ტექნოლოგიების ეს ჩამონათვალი რაოდენობრივად არცთუ ისეთი შთამბეჭდავია, როგორც მისი მსოფლიო ბაზრის ზრდის პროგნოზი 2018-2025 წლებში: ბლოკჩეინის ზრდა - 47,2-ჯერ, ვირტუალური და დამატებითი რეალობის ზრდა - 30,2-ჯერ, ხელოვნური ინტელექტის ზრდა - 9,1-ჯერ, კვანტური

ტექნოლოგიების ზრდა - 6,8-ჯერ და ა. შ. [Индикаторы... 2019, с. 222].

ეს ინფორმაცია გვაუწყებს, რომ ჩვენი მომავალი ციფრულ ტექნოლოგიებზე იქნება დამოკიდებული და ჩვენ მას გვერდს ვერ ავუვლით. ეს ეხება ყველა ქვეყანას და ადამიანთა საქმიანობის ყველა სფეროს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ეს შეეხება საქართველოსაც და მისი საქმიანობის ყველა სფეროს, მათ შორის ჯანდაცვის სფეროს.

ციფრულ ტრანსორმაციას სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი საქართველოს განვითარების გრძელვადიან გეგმაშიც - „ხედვა - 2030: საქართველოს განვითარების სტრატეგია“. მასში ვკითხულობთ შემდეგს: „საქართველო მიისწრაფის რათა დამკვიდრდეს „ციფრულ ჰაბად“, რაც საჭიროებს რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართვას ციფრულ ეკონომიკაში. ამისთვის საჭიროა ფართოზოლოვანი ინტერნეტის და მაღალი ხარისხის ინფრასტრუქტურის დამკვიდრება... ეს სიახლე სახელმწიფო პროგრამის სახით ჩამოყალიბდება. გაუმჯობესდება საკანონმდებლო ჩარჩო ფართოზოლოვანი ქსელებისა და მომსახურების განვითარების ხელშეწყობისთვის, განსაკუთრებით 5G ქსელების განვითარების მიმართულებით... ქვეყნის მაღალმთიანი რეგიონების ინტერნეტით უზრუნველსაყოფად ჩატარდება სათემო ინტერნეტიზაცია. ეს ხელს შეუწყობს მეტ ინვესტირებას გაციფრების მიმართულებით და, აგრეთვე, ციფრული სერვისების მიწოდება-გამოყენებას... სახელმწიფო განახორციელებს ციფრული უნარების ხელშეწყობ აქტივობებს როგორც შშპ პირებისთვის, ისე სოციალურად დაუცველი პირებისთვის... აღნიშნულ პროგრამებს შეუძლია რისკების მინიმუმამდე დაყვანა როგორც მათთვის, ისე ხანშიშესული ადამიანებისთვის... საქართველოს გავლით მოხდება ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ციფრული სატრანზიტო ჰაბის ჩამოყალიბება... გაგრძელდება ევროკავშირის ციფრულ ბაზართან საქართველოს ციფრული ბაზრის ინტეგრაცია...“ [ხედვა - 2030... 2023, გვ. 146-147].

იმავცე სამთავრობო დოკუმენტში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ციფრული ტექნოლოგიების დანერგვას ჯანდაცვის სექტორში. მის შესახებ მასში იკითხება შემდეგი: „ქვეყანაში ტელემედიცინის გასაუმჯობესებლად დაგეგმილია ერთიანი ხედვის შემუშავება 2025 წლის ბოლომდე. ტელემედიცინის სერვისი ამოქმედდება 300 ამბულატორიაში...“ [ხედვა - 2030... 2023, გვ. 176].

საქართველოს 2030 წლამდე განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული ეს მიზანი ასახულია საქართველოს ჯანდაცვის 2022-2030 წლების ეროვნულ სტრატეგიაშიც. ამ დოკუმენტში მოცემულ იმ 7 სტრატეგიული მიზნიდან, რომლებიც მიმართულია საქართველოს ჯანდაცვის განვითარება-გაძლიერებისკენ, მეხუთე მიზანი მთლიანად ეძღვნება ციფრული ჯანდაცვის მმართველობის გაუმჯობესებას, ციფრული ჯანდაცვის ტექნოლოგიებისა და ტელემედიცინის სერვისების გაძლიერებას [საქართველოს..., 2021, გვ. 11].

წინამდებარე სტატიას ასეთი დიდი შესავალი იმიტომ გავუკეთეთ, რომ დაგვენახებიანა მკითხველისთვის დღევანდელ ეტაპზე ციფრული ტექნოლოგიების დანერგვისადმი საქართველოს მთავრობის განსაკუთრებული ყურადღება.

ძირითადი ნაწილი

საქართველოში შემუშავებული და ოფიციალურად გამოქვეყნებულია „საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია - 2024-2029 წ.წ.“ ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ხელისუფლებამ სცნო ეს სიახლე და საჭიროდ ჩათვალა ქვეყანაში მისი დანერგვა. აღნიშნული სტრატეგია სრულ თანხვედრაშია საქართველოს ძირეული სამთავრობო დოკუმენტაცია - „საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა -

2030“-თან.

საქართველოს დასახელებული სტრატეგია შემუშავებულია საქართველოს ხელისუფლების #629 დადგენილების - „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტო-რინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად. იგი 2024-2029 წლების პერიოდისთვის განსაზღვრავს ციფრული მმართველობის ტენდენციებს საქართველოში. ფაქტიურად იგი წარმოადგენს ციფრული მმართველობის მიმართულებით ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელს.

დასახელებულ სტრატეგიაში ყველაზე მნიშვნელოვანი არის მისი მესამე ნაწილი - სამოქმედო გეგმის შემუშავება. აღნიშნული გეგმა 2024-2029 წლებზე არის გათვლილი. დასახელებული გეგმის შედგენას საფუძვლად დაედო მთავრობის ინტერაქტიური შეხვედრები, რომელთა მიზანი იყო ციფრული მიმართულებით პრობლემების გამოკვეთა. გამოიკვეთა 5 პრობლემა [საქართველოს... 2023, გვ. 18]:

1. ციფრული მმართველობის სახელმწიფო პოლიტიკის სისუსტე.

2. ელექტრონული სერვისების არაერთგვაროვანი პრაქტიკა.

3. რესურსების სიმცირე.

4. ციფრული მმართველობის მხარდაჭერის სისუსტე.

5. საქართველოს როგორც რეგიონული ლიდერის როლის გაძლიერება ციფრული მმართველობის სფეროში.

ამ სამთავრობო დოკუმენტში ხუთივე პრობლემის ჭრილში ჩამოთვლილია გადა-საწყვეტი პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზებიც არის მინიშნებული.

ამის გარდა, წინამდებარე სტრატეგიაში საქართველოს ციფრული მმართველობის სფეროსთვის განსაზღვრულია 5 მიზანი [საქართველოს... 2023, გვ. 30]:

1. საჯარო - კერძო პარტნიორობის გაძლიერება.

2. ციფრულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ამაღლება.

3. ციფრული მმართველობის მხარდაჭერის გაძლიერება.

4. ადამიანური და ტექნიკური რესურსების კუთხით შესაძლებლობებისა და კომპეტენციების განვითარება ციფრულ მმართველობაში.

5. საერთაშორისო ასპარეზზე ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ჰაბად ჩამოყალიბება.

დასახელებული დოკუმენტი გამოსადეგი და ხელმისაწვდომია საქართველოს ყველა კერძო და საჯარო ორგანიზაციისთვის და ციფრული განვითარების მიმართულებით იგი მათ საერთო სტრატეგიას წარმოადგენს. ამ დოკუმენტის გამოსვლის შემდეგ იგულისხმება, რომ საქართველოში მოქმედმა ყველა ორგანიზაციამ, ჯანდაცვის ორგანიზაცია იქნება იგი, სავაჭრო, სატრანსპორტო, სასწავლო თუ სხვა ტიპის, ამ სტრატეგიაში დასახელებული პრობლემების გადაწყვეტაზე და მიზნების შესრულებაზე უნდა იმუშაოს.

ყველაფერი ის რაც ავლნიშნეთ, ჩვენი ხვალისდელი სამუშაოა. იგი თანაბრად ეხება ყველა ტიპის ორგანიზაციას - საჯაროსაც და კერძოსაც, განურჩევლად იმისა, თუ რას საქმიანობს იგი - სამედიცინო მომსახურებას უწევს მოსახლეობას, ასწავლის მათ თუ სხვა.

წინამდებარე სტატიის დასახელებიდან გამომდინარე ჩვენი მიზანია ამ ნაშრომში ვაჩვენოთ თუ რა კეთდება საქართველოს ჯანდაცვის ქსელში ციფრული ტრანსფორმაციის კუთხით და შევაფასოთ მისი მეშვეობით იქ არსებული პრობლემების გადაწყვეტის შედეგიანობა. აქედანვე უნდა ავლნიშნოთ, რომ საქართველოს ჯანდაცვის ციფრული ტრანსფორმაცია ბოლო 10 წლის განმავლობაში ნელი ტემპით მიმდინარეობდა, თუმცა, ეს არ შეხება ტელემედიცინას და კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, რომლებსაც საქართველოს ჯანდაცვის

ორგანიზაციები იყენებენ პაციენტთა დიაგნოსტიკისთვის. ამ სიახლეს დანერგვა საქართველოს ჯანდაცვაში „კოვიდ-19“ პანდემიის დროს დაიწყო და შეიძლება ითქვას, რომ იგი შეუცვლელი აღმოჩნდა. ამ პერიოდში ექიმთა გადატვირთული გრაფიკის, პაციენტთა გრძელი რიგების, უსაფრთხოების დაცვის და სხვა მიზეზების გამო, გართულებული იყო ექიმებთან პაციენტების ვიზიტები. თვით ქართველი პაციენტები გაურბოდნენ ექიმთან ფიზიკურ კონტაქტს. საქართველოს ჯანდაცვის ქსელში ტელემედიცინის დანერგვამ ეს პრობლემები მოხსნა. განსაკუთრებით სასარგებლო აღმოჩნდა იგი ასაკოვანი პაციენტების კლინიკაში მიყვანის ჩანაცვლების მიზნით.

ტელემედიცინა საქართველოს ჯანდაცვაში უმთავრესად საკონსულტაციო პროცედურებში იყო გამოყენებული. ეს იყო ნევროლოგიის, კარდიოლოგიის, პულმონოლოგიის, თერაპიის და გასტროენტოლოგიის სამუშაოები. ამ სამუშაოებზე ქ. თბილისში დიდი მოთხოვნა გაჩნდა „კოვიდ-19“ პანდემიის პერიოდში. ამან მოითხოვა ქ. თბილისში ტელე მედიცინის კლინიკის დაფუძნების აუცილებლობა, სადაც ონლაინ კონსულტაციები ტარდებოდა.

2021 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ შეიძინა 50 ტელემედიცინის აპარატი. ამდენივეს შეძენა მოხდა 2023 წელს. ორივე ეს ღონისძიება განხორციელდა „გაეროს“ დაფინანსებით. ისინი განაწილდა მაღალმთიანი სოფლების კლინიკებსა და ამბულატორიებში. ამ აპარატებით დისტანციურად ადამიანის მრავალი ფუნქციის შემოწმება და შეფასება ხდება. ესენია: სმენა, მხედველობა, გულის მუშაობა, ფილტვების მდგომარეობა და სხვა.

საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების პაციენტების მოსამსახურებლად შეძენილ ტელემედიცინის აპარატებს აქვთ 5 ფუნქცია, რომელთა შესასრულებლად მათ ერთვება სპირომეტრი, ოტოსკოპი, კარდიოგრაფი, ოტალმოსკოპი და დერმატოსკოპი. მათი დახმარებით ექიმებს დისტანციურად შეუძლიათ გააფართოვონ პაციენტის თვალის გუგა, ყურის სასმენი ცენტრი. დიაგნოსტიკის შედეგის თვალსაზრისით ეს აპარატები გაცილებით უკეთეს შედეგებს იძლევიან, ვიდრე ექიმის მიერ პაციენტის უშუალო გასინჯვისას. საქართველოს მთის მოსახლეობა კმაყოფილია ამ სიახლით, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. ეს გამონაკლისი არის სოფლის უხუცესი პაციენტები, რომლებსაც ურჩევნიათ ექიმთან პირისპირ კონსულტაცია. ამის მოხსნით ტელემედიცინამ ასეთ პაციენტებს ფსიქოლოგიური დისკომფორტი შეუქმნა. ეს ვითარება არ არის საგანგაშო, რადგან ასეთ ადამიანთა რიცხვი მცირეა, და, თანაც ეს ხდება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ, მთელ მსოფლიოში. ასაკოვან ადამიანებს ეძვირფასებათ ის, რასაც მიეჩვივნენ ბავშვობიდან და სიახლეები მათ აშინებთ.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ასეთ ასაკოვან ადამიანებს, საქართველოს მთის რეგიონების დანარჩენ მოსახლეობას მოსწონს ტელე-მედიცინის „ონლაინ“ მომსახურება. ასეთი მომსახურებით მათ დრო არ ეკარგებათ და შემოსავალიც, რომელიც მათ ისედაც მინიმალური აქვთ, ეზოგებათ.

ტელემედიცინა დიდ უპირატესობას აძლევს არა მხოლოდ პაციენტებს, არამედ, მომსახურე პერსონალსაც - ექიმებს და ექთნებს. მათ ერთდროულად რამდენიმე პაციენტის მომსახურება შეუძლიათ. ტელემედიცინის მეშვეობით ექიმს ნებისმიერ ადგილას შეუძლია პაციენტს გაუწიოს დახმარება - ღამის საათებშიც კი.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველოს ჯანდაცვის სფეროში ტელემედიცინის ელექტრონული სისტემა პირველად გამოყენებული იქნა „კოვიდ-19“-ის ვაქცინაციის პერიოდში. ის ძირითადად გავრცელდა მთიანი რეგიონების პაციენტთა მოსამსახურებლად, თუმცა, გავრცელდა ბარის ზონაშიც. დღეს

ტელემედიცინის ელექტრონულ სისტემაში ჩართულია საქართველოს ჯანდაცვის 420 ობიექტი (კლინიკა, ლაბორატორია, საავადმყოფო და სხვა). მას დღეს იყენებს ქვეყნის 1,7 მლნ მოქალაქე [ნეფარიძე, 2023, გვ. 89].

საქართველოს ჯანდაცვის თანამედროვე ელექტრონულ (გაციფრებულ) სისტემაზე გადასვლა საქართველოს მცხოვრებთ შესაძლებლობას აძლევთ აირჩიონ როგორც ჯანდაცვის დაწესებულება, ისე ექიმი და ასე შეუფერხებლად დადგენ მასთან რიგში.

საქართველოს ჯანდაცვაში ერთიანი სამედიცინო ჩანაწერების სისტემის შექმნა ითვალისწინებს [Петрова, Додонова, Погосян, 2013, с. 169]:

- სამედიცინო ორგანიზაციიდან ინფორმაციის შეგროვებას;
- სხვადასხვა სისტემებს შორის ინფორმაციის გაცვლას;
- ქვეყნის დონეზე და კლინიკის დონეზე სამედიცინო მომსახურების ხარისხის შეფასებას;

- სამედიცინო ჩანაწერების თავმოყრას სისტემაში და ა. შ.

საქართველოში 10 რეგიონია, სადაც 935 სოფლის ამბულატორია არის განთავსებული. უმრავლეს რეგიონებში ჩატარებულია მოსახლეობის კვლევები ტელემედიცინის გამოყენების სარგებლიანობის საკითხზე [ნეფარიძე, 2023, გვ. 92-98]. ერთ-ერთი ასეთი რეგიონი იყო მცხეთა-მთიანეთის რეგიონი, კერძოდ, დუშეთის მუნიციპალიტეტი. ამ მუნიციპალიტეტის 4 სოფლის (ჭართალი, ლაფანანთკარი, ჟინვალი, ბაზალეთი) მოსახლეობის გამოკითხვით ასეთი პასუხებია მიღებული:

1. იქნება თუ არა თქვენთვის მისაღები ტელემედიცინით სამედიცინო მომსახურება?

პასუხი: დიახ - 49,7%.
არა - 50,3%.

2. შეუძლია თუ არა ტელემედიცინას სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება?

პასუხი: დიახ - 41,7%.
არა - 58,3%.

3. ტელემედიცინის დანერგვა განავითარებს თუ არა სამედიცინო სფეროს?

პასუხი: ძალიან სასარგებლო იქნება - 67,1%.
უმნიშვნელო იქნება - 11,4%.
არ მაქვს პასუხი - 20,8%.

4. რა როლი იქნება ტელემედიცინას დაავადებათა პრევენციაში?

პასუხი: ნაწილობრივ გაამარტივებს - 79,5%.
არაფერს არ შეცვლის - 11,5%.
არ მაქვს პასუხი - 9%.

აღნიშნული პასუხებით ირკვევა, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტის გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესი ნაწილი არ ენდობა ტელემედიცინას. ჩვენი აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ტელემედიცინა მოსახლეობისთვის ახალია, იგი ეხლა „შემოიჭრა“ მათ სამედიცინო მომსახურებაში და მასზე დადებითი შთაბეჭდილების შექმნას და ძირეულ დამკვიდრებას დრო სჭირდება. ასე მოხდა საზღვარგარეთის მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც, მაგრამ დღეს იქ ტელემედიცინა პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ძირითადი ფორმაა. იქ მან უკვე დაიმკვიდრა თავისი ადგილი.

დასკვნა. დღეს საქართველოს ჯანდაცვის ტელემედიცინა მაღალმთიან რეგიონებში შემდეგი გამოწვევების წინაშე დგას:

- ხარვეზები აქვს მაღალი სიჩქარის ინტერნეტის მიწოდებას;
- ტელემედიცინის სერვისი საქართველოში არ არის დარეგულირებული;
- გადაუდებლად საჭიროა ტელემედიცინის სერვისების ხარისხის მართვის ინდიკატორების შემუშავება;
- მოსაფიქრებელია მოსახლეობაში (განსაკუთრებით მთის რეგიონების მოსახლეობაში) ახსნა-განმარტებითი საუბრების ჩატარება სამედიცინო მომსახურების ციფრული ტრანსფორმაციის კუთხით;
- საჭიროა ტელემედიცინის სერვისების ჩართვა სადაზღვევო პაკეტებში;
- საჭიროა ტელემედიცინის სერვისების გაიდლაინების შექმნა და მათი ასახვა ჯანდაცვის პროგრამებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ჯოლია გ. განათლება და დასაქმება ციფრულ გარემოში. თბ., 2021.
2. Индикаторы цифровой экономики (под ред. Абдрахманова Г. И.). М., НИУ ВШЭ. с. 222.
3. საქართველოს ციფრული მმართველობის სტრატეგია - 2024-2029 წ.წ., თბ., 2024.
4. ნეფარიძე ი. ციფრული მენეჯმენტის დანერგვა და განვითარება სამედიცინო სფეროში. დისერტაცია. თბ., 2023.
5. Петрова Н., Догонова И., Погосян С. Основы медицинского менеджмента и маркетинга. М., 2013.
6. საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია. თბ., 2021.
7. ხედვა - 2030: საქართველოს განვითარების სტრატეგია. თბ., 2024.

რეზიუმე

ტრადიციული ტექნოლოგიების ციფრული ტრანსფორმაცია უპირობო სიახლეს წარმოადგენს. ეს ეხება ყველა დარგს, მაგრამ გამორჩეულად საგულისხმოა მისი ეფექტი ჯანმრთელობის დაცვაში, რადგან ეს დარგი ემსახურება სიცოცხლის მანძილზე ადამიანთათვის ჯანმრთელობის მაქსიმალურ უზრუნველყოფას.

სტატიაში - „ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების პაციენტთა სამედიცინო მომსახურებაში“ - ნაჩვენებია საქართველოს მთიანეთის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისთვის რა დიდი მნიშვნელობა აქვს ტელემედიცინას. საქმე ის არის, რომ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებს ადგილზე აკლიათ ექიმები. ამას იწვევს მიუვალი გზები, ცენტრიდან დიდი დაშორება და სხვა. ციფრულმა ტექნოლოგიებმა პაციენტის საცხოვრებელ ადგილზე მაღალკვალიფიციური ექიმი ჩაანაცვლა. ამას ადვილად აკეთებს ციფრული აპარატის სპეციალისტი.

სტატიაში დახასიათებულია ტელემედიცინის წარმოშობა და განვითარება საქართველოში და საზღვარგარეთ. მოტანილია ინფორმაცია საქართველოს მთის რეგიონებში მისი დანერგვის შესახებ და, აგრეთვე, იქ ჩატარებული პაციენტთა გამოკითხვის შედეგები ტელემედიცინის ვარგისიანობის შესახებ.

THE USE OF DIGITAL TECHNOLOGIES IN MEDICAL CARE FOR PATIENTS IN THE MOUNTAINOUS REGIONS OF GEORGIA

RAMAZ MARGHISHVILI

Academic Doctor of Business Administration

SABA BURJALIANI

Academic Doctor of Business Administration

NINO BURJALIANI

Cardiologist at “Vivamedi” Clinic

R E S U M E

The digital transformation of traditional technologies is an absolute innovation. This applies to all sectors, but its effect on healthcare is particularly significant, as this sector serves to ensure maximum health for people throughout their lives.

The article - **“The use of digital technologies in medical care for patients in the mountainous regions of Georgia”** - shows how important telemedicine is for the medical care of the population of the mountainous regions of Georgia. The fact is that the mountainous regions of Georgia lack doctors on site. This is caused by impassable roads, great distance from the center, etc. Digital technologies have replaced a highly qualified doctor at the patient’s place of residence. This is easily done by a specialist with a digital device.

The article describes the origin and development of telemedicine in Georgia and abroad. It provides information about its implementation in the mountainous regions of Georgia, as well as the results of a survey of patients there on the suitability of telemedicine.

Keywords: digital technology; telemedicine; nanotechnology; robotics.